შპს ”დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის

საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

DTMUN

ცვლილებები:

დირექტორის 2016 წლის 26 აპრილის N13 ბრძანება - ახალი რედაქცია;
დირექტორის 2016 წლის 02 ივნისის N17 ბრძანება - ცვლილება;
დირექტორის 2017 წლის 16 სექტემბრის N 10 ბრძანება - ცვლილებები;
დირექტორის 2018 წლის 07 ივნისის N 06 ბრძანება - ცვლილება/დამატებები;
დირექტორის 2018 წლის 02 ივლისის N 16 ბრძანება - ცვლილება;
დირექტორის 2018 წლის 09 ივლისის N 20 ბრძანება - ცვლილება (ახალი პროგრამის დამტკიცების შეხაბ);
დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 24 ბრძანება - ცვლილება
დირექტორის 2019 წლის 09 იანვარის N 04 ბრძანება - ცვლილება
დირექტორის 2019 წლის 29 იანვარის N 05 ბრძანება - ცვლილება
დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის N10 ბრძანება - ცვლილება
დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N 19 ბრძანება - ცვლილება
დირეტორის 2019 წლის 22 აპრილის N20 ბრძანება - შესაბამისობა (კვალიფიკაციის შესახებ)
დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის N41 ბრძანება - შესაბმისობა
დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N01 ბრძანება - შესაბამისობა (კვალიფიკაციის შესახებ)
დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N23ა ბრძანება - შესაბამისობა
დირექტორის 2022 წლის 04 ივლისის N27 ბრძანება - ცვლილებები
დირექტორის 2022 წლის 05 ნოემბრის N45 ბრძანება - შესაბამისობა

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შესავალი

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების - საგანამანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტისა და პროფესიული სტანდარტის, დაწესებულების წესდების საფუძველზე.

წესი ადგენს დაწესებულების მიერ ავტორიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - საექთნო განათლება - სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობას, შინაარსს, მისაღწევ შედეგებსა და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ზოგადად პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭების, შეფასების პრინციპებს, სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს.

წინამდებარე წესის დაცვა და შესრულება სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისა და პროფესიული სტუდენტისათვის.

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს კანონმდებობის შესაბამისად.

პროგრამების მიზანია - მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო თეორიული და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

თავი I თავი I უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო საქმე - ხანგრძლივობა და მოცულობა

მუხლი 1. სასწავლო წლის ხანგრძლივობა და კრედიტების მოცულობა

1. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს - 180 კრედიტს
2. სამუშაო კვირების რაოდენობა - 123-ს
3. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს - 210 კრედიტს
4. სამუშაო კვირების რაოდენობა შეადეგნს 144-ს
5. მეცადინეობები ტარდება კვირაში 5 დღე , შაბათ-კვირის გარდა.

6. სასწავლო წელი მოიცავს უწყვეტ 12 თვიან პერიოდს (შესვნების გათვალისწინებით) და დაწყებისა და დასრულების თარიღი, მოდულების განხორციელების ზუსტი დრო, ადგილი და განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი მიეთითება სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ცხრილში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებამდე მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
7. კონკრეტული ცხრილის შესახებ ეცნობებათ პროფესიულ სტუდენტებს ან/და განთავსდება კოლეჯში საამისოდ გამოყოფილ საინფორმაციო დაფაზე.
8. იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამაზე - სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

თავი II

მუხლი 2. **სასწავლო წელი, მოდულები და მათი მოცულობა**

1. კვირის მინიმალური საათობრივი დატვირთვა 30 საათი (საკონტაქტო) და მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა 40 საათი (საკონტაქტო).

პირველი სასწავლო წლის გეგმაში გაწერილია შესავალი ცნებების მქონე თეორიული სწავლების მოდულები, რომელთა პროგრამის დასაწყისში განხორციელება საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი და პროფესიული მოდულების ათვისებისა და დასწავლისათვის.

მეორე სასწავლო წლის სასწავლო გეგმის შესაბამისად გაწერილია მოდულები საექთნო საქმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს თემატიკის უწყვეტობას. ამასთან, სასწავლო წლის პირველ ნახევარში პროფესიულ სტუდენტებს პირველად ეძლევათ საშუალება გავლილი თეორული სწავლების მოდულთან მიმართებით გაიარონ კლინიკური პრაქტიკის მოდული. მეორე ნახევრიდან კი უკვე შემოდის

მესამე სასწავლო წლის სასწავლო გეგმით იკვრება ლოგიკური ჯაჭვი და სასწავლო წლის მეორე ნახევარი სრულად ეთმობა ყველა გავლილი მოდულის შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის მოდულს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის რეალიზაციას და შესწავლილი საექთნო პრაქტიკის გამოყენებას.

2. მიწოდებული მოდულების დაძლევა და სწავლების შედეგების მიღწევა (ხოლო 2022 წლის 09 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხული პირებისათვის - შუალედური შეფასებაში მონაწილეობა), წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას, ხოლო საბოლოოდ განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს.
3. სასწავლო პროცესში, პროგრამული გადანაწილების შესაბამისად, გამოიყენება სწავლების სხვადასხვა ფორმები. მაგ:

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები
- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)

- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება
- პაციენტისა და ექთნის როლების შესრულება
- პრეზენტაცია, რაც ასახულია საგანამანათლებლო პროგრამის დანართებში - მოდულებში.

თავი III **პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

მუხლი 3. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება/ვერ დადასტურება და კრედიტის მინიჭება

1. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
2. პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასება (ქულების დაწერა) ხორციელდება მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ შეფასებასთან ერთად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით - 100 ქულიანი სისტემითაც (აღნიშნული შეეხება, როგორც დამტკიცებული ავტორიზებული პროგრამებით გათვალისწინებულ მოდულებს, ისე -პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის პარალელურად მიმდინარე დამატებით არჩევით (არასავალდებულო) კურაციას).
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა - გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, დასადასტურებელი შედეგის შინაარსიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოზიციის, შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს პედაგოგის მიერ. აღნიშნული გულისხმობს შესაძლებლობას სტუდენტის მიერ რომელიმე კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, მოდული/შედეგი ჩაითვალოს დადასტურებულად. კრიტერიუმების ხვედრითი წონის შესახებ შესაძლებელია სტუდენტი არ იყოს ინფორმირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მაღალი ხვედრითი წონის მქონე საკითხების დასწავლა.

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებითად შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული; მოდულის ფარგლებში დადებითად ფასდება მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი და ენიჭება შესაბამისი კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ სწავლის შედეგში დადასტურებულ იქნას, შესრულების კრიტერიუმებში გამოყენებულ ინსტრუმენტის (ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტის შემთხვევაში ინსტრუმენტების საშუალო არითმეტიკულით):

- არანაკლებ 65%-ისა, გარდა ამავე პროგრამის ზოგადი მოდულებისა, რომლის დადასტურებისთვისაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს.
- კლინიკური სწავლების მოდულებში საექთნო პროცესისა და საექთნო მანიპულაციების სწავლის შედეგის დასადასტურებლად უნდა მიიღოს მასში შემავალი ინსტრუმენტ(ებ)ის არანაკლებ 75% -ნი შეფასება, არანაკლებ 20-ჯერ.

5. ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში:

5.1 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შედეგი გადააბაროს მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;

5.2 განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია შედეგის გადაბარება შეუძლია მომდევნო ერთი კვირის ვადაში. (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს); - კვლავ ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ჩავარდნილი მოდული და იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.

5.3 წინამდებარე მუხლის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგის გადაბარებისთვის დანიშნულ დროს პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში ფიქსირდება შეფასება 0, რაც ნიშნავს შედეგის ვერ დადასტურებას და პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს 5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით.

5.4 წინამდებარე მუხლის 5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისთვის დანიშნულ დროში, 5.1 და 5.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, სტუდენტის გამოუცხადებლობა იწვევს ვერ დადასტურება შედეგის დაფიქსირებას და ამავე მუხლის 6-8 პუნქტებით გათვალისწინებულ შედეგს.

5.5 წინამდებარე მუხლის 5.3 და 5.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულების მიერ შესაძლოა დაშვებული იქნას გამონაკლისი შემთხვევები თუ გამოუცხადებლობა დაკავშირებულია სტუდენტის გამოუვალ მდგომარეობასთან, დადასტურებულია მტკიცებულებით და შეტყობინება დაწესებულებისათვის გაკეთებულია გადაბარებისთვის დანიშნულ დრომდე ან/და გადაბარების მსვლელობისას. ამასთან გადაბარების დასრულების შემდეგ მსგავსი გარემოების დაფიქსირება არ განიხილება გამონაკლის შემთხვევებად და დგება ზემოთაღნიშნული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული და ამავე მუხლის 6-8 პუნქტებით გათვალისწინებული შედეგები.

5.6 დაწესებულება ვალდებულია წინამდებარე მუხლის 5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას პროფესიულ სტუდენტს გადაბარებისთვის დანიშნული თარიღის შესახებ აცნობოს არაუგვიანეს გამოცდამდე ერთი კვირით ადრე.

5.7 პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს დაწესებულებას დასაბუთებული წერილობითი თხოვნით (ცხრილით გათვალისწინებული შესაძლებლობის ფარგლებში) დანიშნული თარიღის სხვა დროისთვის გადატანის შესახებ, დანიშნულ დრომდე არაუგვიანეს 05 დღისა.

6. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს რომელიმე მოდულს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს რომელიმე მომდევნო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოამზადოს მოდული და პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს შეფასების მირება (გარდა პრაქტიკული მოდულისა).
7. მოდულის/შედეგის განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის მიერ - ვერ დადასტურება - შეფასების მიღება ნიშნავს, რომ იგი ვერ აღწევს აკადემიურ პროგრესს, რაც ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.[1]
8. მოდულის/შედეგის თეორიულ ნაწილში - ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობით გადააბაროს მოდული/შედეგი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში იგივე შეფასების დაფიქსირება გულისხმობს მოდულის/შედეგის პედაგოგის დახმარებით განმეორებით გავლის ვალდებულებას, რომლისთვისაც დაწესებულების მიერ განისაზღვრება საფასური და იგი არ უნდა აღემატებოდეს პედაგოგის საათობრივ ანაზღაურებას.
9. პროფესიული სტუდენტის შეფასება ტარდება სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილის მსგავს სიმულაციურ ლაბორატორიაში.
10. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: პროცესზე დაკვირვება; პროდუქტი /შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).
11. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით წამოაყენოს პრეტენზია, მისი გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და მოითხოვოს:
    - წერილობითი ნამუშევრის შემთხვევაში მისი განხილვა და შეფასების შეცვლა,
    - პრაქტიკული დავალების/შემთხვევის შესწავლის/სიმულაციის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემოწმება,
    - შეფასების ინსტრუმენტად ზეპირი შეკითხვების გამოყენებით მიღებული შეფასების მიმართ პრეტენზია გამოიწვევს სასწავლო დეპარტამენტის მიერ დადგენილი შინაარსითა და მოცულობით შედეგის შეფასების პროცედურის განმეორებას.
12. სტუდენტის პრეტენზიის საფუძველზე შეფასების შედეგები, შეფასების ინსტრუმენტი და კრიტერიუმების გარჩევა მოხდება სასწავლო დეპარტამენტის, სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაწილეობით, შესაძლებელია ყველა მონაწილის თანხმობით მოწვეული იქნას ნეიტრალური პირ(ებ)ი, როგორც სტუდენტის ასევე დაწესებულების მხრიდან.
13. შეფასებასთან დაკაშირებული პრეტენზიის განხილვის დროს ყველა დაუსაბუთებელი და მტკიცებულებით დაუდასტურებელი გარემოება უნდა გადაწყდეს სტუდენტის სასარგებლოდ.
14. სტუდენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პრეტენზიის დაკმაყოფილების ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

[1] აღნიშნული არ ვრცელდება სსმ და შშმ სტუდენტებზე

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტები კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლისას[2]

1. შეფასების ინსტრუმენტები მიემართება შეფასების ერთ, ორ ან სამივე სახეობას
1. სტუდენტის შესრულებაზე დაკვირვება;
2. სტუდენტის პროდუქტების შეფასება;
3. კოგნიტური/შემეცნებითი უნარების შეფასება.

ა) შემთხვევის შესწავლა (Case Study)

შემთხვევის შესწავლა შედგება ამა თუ იმ მოვლენის აღწერისგან, რომელიც რეალურ სიტუაციას ასახავს. ამას მოჰყვება რიგი ინსტრუქციები, რომლებიც ავალებენ სტუდენტს, როგორც მოვლენებზე დამკვირვებელ ცალკეულ პირს გაანალიზოს შემთხვევა ან სიტუაცია, დასკვნების გამოტანით და გადაწყვეტილებების მიღებით ან მოქმედების მიმართულებების მითითებით. ასეთი დავალების შესრულება დასაშვებია, როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის, ისე ერთად მომუშავე პატარა ჯგუფების მიერ. შემთხვევის შესწავლა უზრუნველყოფს პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების შეფასების განვითარების საშუალებებს. ისინი განსაკუთრებით ხელსაყრელია, როდესაც რეალური სიტუაციის დადგმა რთულია, ხოლო სწავლისთვის განკუთვნილი დრო - შეზღუდული.

შეფასების ამ ინსტრუმენტში მნიშვნელოვანია თავად ახსნა-განმარტების, გადაწყვეტილებების მიღების და პროფესიული სტუდენტის მიერ დასკვნის გამოტანის პროცესი, შესაბამისად შემთხვევის შესწავლის შედეგის შესაფასებლად კოლეჯის მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

ბ) კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

ასეთი ტიპის დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან არასრული მტკიცებულების სახით (ძირითადი მოცემულობა) და პასუხების ვარიანტებისგან სავარაუდო პასუხი ძირითადად 4 ან 5-ია, რომელთაგან სტუდენტმა სწორი ვარიანტი უნდა აირჩიოს.

საბოლოოდ ხდება პასუხების ტესტის გასაღებთან შედარება და სწორი პასუხების მიხედვით ქულების დათვლა.

ბ[1)] მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები

მრავალჯერადი პასუხის შემცველი შეკითხვები ვარიაციაა კითხვებისა მრავალი არჩევითი პასუხით, რომლის დროსაც მოცემული შესაძლო პასუხებისგან რამდენიმეა მართებული. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი მათგანი ან რამდენიმეს კომბინაცია, პროფესიული სტუდენტი ასევე ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რამდენი ვარიანტის არჩევა შეუძლია. იმის გამო, რომ ასეთ

[2] სტუდენტთა შეფასების გზამკვლევი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრი

კითხვებზე მრავალნაირად შეიძლება პასუხის გაცემა, ისინი უფრო კომპლექსურია, ვიდრე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით.

გ) ზეპირი შეკითხვები

ზეპირი შეკითხვები, ჩვეულებრივ, შეზღუდული პასუხების შემცველი კითხვების მსგავსია. პასუხის ფორმა და შინაარსი შეიძლება იყოს შეზღუდული, მაგრამ შეკითხვები ნამდვილად აძლევენ სტუდენტს თვითგამოხატვის საშუალებას. პედაგოგის პროფესიონალიზმი განაპირობებს პროფესიული სტუდენტის სწორად შეფასებას, რადგან არ არსებობს ერთი სწორი პასუხი.

დ) ზეპირი გამოცდები

ზეპირი გამოცდა ტარდება პროფესიული სტუდენტის ვერბალური კომუნიკაციის უნარის შესამოწმებლად. ზეპირმა ტესტებმა შესაძლოა მიიღონ პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ თემაზე მომზადებული პრეზენტაციის ფორმა და ამას შემფასებელთან დისკუსია მოჰყვეს. სტუდენტს მოეთხოვება ინფორმაციისა და შეხედულებების გადმოცემა. ისინი აღწერენ პირად გამოცდილებებს. დასაშვებია სტუდენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური გამოკითხვა ამ ინსტრუმენტით.ზეპირი გამოცდების შედეგების შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

ე) პროექტი

კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშო/კვლევა, რომელიც სრულდება გარკვეულ დროში. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს ასრულებენ დამოუკიდებლად, თუმცა შემფასებელი გარკვეულწილად ხელმძღვანელობს სამუშაოებს. ხშირ შემთხვევაში მიუთითებს თემას ან მოკლე აღწერილობას. ძიებისა და კვლევის დროს სტუდენტებს მიმართულებას აძლევს, სთავაზობს საინფორმაციო წყაროებს. პროექტის შესასრულებლად სტუდენტს უფრო მეტი დრო აქვს გამოყოფილი. პროექტის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

ვ) პრაქტიკული სავარჯიშო

პრაქტიკული სავარჯიშო შედგება ნებისმიერი აქტივობისგან/საქმიანობისგან, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს პირდაპირ გამოავლინოს საკუთარი ტექნიკური ან/და ქცევითი უნარები. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე ან/და ორივეზე.

ამასთან ზოგიერთ მოდულში, პრაქტიკული უნარის დემონსტრირებამ შესაძლოა, აჩვენოს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ კომპეტენციის დემონსტრირებისთვის საჭირო ცოდნის გამოყენება, თუმცა იგივე სხვა მოდულში შეიძლება არ გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი

შეფასება, როგორიცაა გამოკითხვა (შეკითხვების დასმა), რათა ხელი შევუწყოთ უნარზე დაკვირვების პროცესს. პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

ზ) როლური თამაში

როლური თამაშებისას, სტუდენტებისთვის წარმოდგენილია სიტუაციები, ხშირად პრობლემა ან ინციდენტი, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინონ კონკრეტული როლის მორგებით - განსხვავებით სიტუაციის ანალიზისგან, რომლის დროსაც პროფესიული სტუდენტი პასიური დამკვირვებელია. შესაძლოა წინასწარი რეპეტიცია არ იყოს გავლილი ან ინდივიდს უბრალოდ მოკლედ გააცნონ სათამაშო როლი. ასეთი შეფასებები უფრო ღია და ადამიანზე ორიენტირებულია, ვიდრე სიმულაციები. როლური თამაშის შედეგის შესაფასებლად დაწესებულებას შექმნილი აქვს კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

თ) სიმულაცია

სიმულაცია არის პრაქტიკული სავარჯიშო. ის მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სამუშაო ადგილზე განსახორციელებელ სამუშაოს. სიმულაციას მიზანია პროდუქტის შექმნა და შექმნის პროცესის ორგანიზება. სიმულაციაში პროფესიული სტუდენტი აქტიურადაა ჩართული. პროფესიული სტუდენტის შედეგი სიმულაციაში მის აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. სიმულაციის გარემო პირობები და შესასრულებელი სამუშაო მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სიტუაციას. სიმულაცია განსხვავდება როლური თამაშისგან. როლური თამაშისგან განსხვავებით სიმულაცია ერთ კონკრეტულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. სიმულაციის მიზანია შეამოწმოს ქცევითი, ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები რეალურ გარემოში. სიმულაციის შედეგის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

ი) პრეზენტაცია

პრეზენტაცია ეწოდება შესრულებული პრაქტიკული ან თეორიული პროექტის შედეგების წარდგენის პროცესს. პრეზენტაცია ხშირად საჯარო გამოსვლის ფორმატით ტარდება და მას შესაძლოა უშუალოდ შემფასებლების გარდა ფართო აუდიტორიაც დაესწროს. პრეზენტაციის შედეგის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

თუმცა, რამდენადაც პრეზენტაცია შესრულებული პროექტის წარდგენას გულისხმობს, იგი პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასებისათვის გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სტუდენტს საკმარისი გამოცდილება აქვს დაგროვილი პროექტის განხორციელებისათვის. შესაბამისად პრაქტიკული პროექტის პრეზენტაცია შეიძლება განხორციელდეს, მაშინ როდესაც თეორიული პროექტის პრეზენტაცია თეორიული/შესავალი კურსების დასრულების შემდეგ შეფასების ადეკვატურ ფორმას წარმოადგენს.

თავი IV სასწავლო წელი

მუხლი 5. სასწავლო წელი

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რომელიმე მოდულს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე დაადასტუროს ჩავარდნილი მოდული.

1. თუ, სტუდენტი ვერ დაადასტურებს მოდულს ან მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს, უფლება ეძლევა ჩავარდნილი მოდულის გადაბარებისა მოდულის მიმდინარეობის პერიოდში ან მის შემდეგ, მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია შედეგის გადაბარება მომდევნო მოდულის ან/და წინაპირობის მქონე მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს); კვლავ ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ჩავარდნილი მოდული და იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.
2. მოდულის/შედეგის განმეორებითი გავლის შემთხვევაში სტუდენტის მიერ - ვერ დადასტურება - შეფასების მიღება ნიშნავს, რომ იგი ვერ აღწევს აკადემიურ პროგრესს, რაც ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი (აღნიშნული არ ვრცელდება ШМ და СССМ პროფესიულ სტუდენტებზე).

თავი V კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 6. სწავლის შედეგების დადასტურება / კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიულ კვალიფიკაციას, სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით ანიჭებს შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქმთნო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანებით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ერთჯერადი კომისია.
2. იმ შემთხვევაში თუ პროფესიულმა სტუდენტმა საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში ვერ შეძლო მოდულების დადასტურება და სათანადო კრედიტების მოპოვება (გადაბარებისა და მოდულის განმეორებითი გავლის შესაძლებლობის გამოყენების ჩათვლით), ან არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ შეფასებაში მას ვერ მიენიჭება კვალიფიკაცია და კოლეჯი უფლებამოსილია გასცეს, მხოლოდ მის მიერ გავლილი და დადასტურებული მოდულების შესახებ ინფორმაცია.

2[1]. პროფესიულ სტუდენტს - „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქმთნო განათლებაში“ ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის შესაბამისი კრედიტის მოპოვების, შუალედურ შეფასებაში მონაწილებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე.

2.[2] საკვალიფიკაციო გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სრულად დადასტურების, შუალდეურ შეფასებაში მონაწილეობისა (ვრცელდება 2022 წლის 09 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხულ სტუდენტებზე) და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემთხვევაში.

2.[3] საკვალიფიკაციო გამოცდა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის შემაჯამებელი, ინტეგრირებული, ღია/დახურული ტესტური ან პრაქტიკული დავალებებისაგან შემდგარი გამოცდა. ამასთან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით პროფესიულმა სტუდენტმა საკვალიფიკაციო გამოცდაზე უნდა გადალახოს 75%-ანი ბარიერი.

2.[4] 2022 წლის 09 აგვისტოს შემდეგ ამოქმედებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდა და მისი ორგანიზება რეგულირდება „საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების დებულებით“.

2.[5] საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შესრულება შეიძლება განხორციელდება კოლეჯის „C” გარემოში, კომისიის წევრების თანდასწრებით.

მუხლი 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯის მიერ მუშავდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.
5. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება, იმ შემთხვევაში, თუ:

ა)კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;

ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

დ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.

6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.
7. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართავს სასწავლო დეპარტამენტს, რის შემდგომაც დეპარტამენტის წარმომადგენელი და პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებიან სასწავლო პროცესს დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
8. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისადა შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.
9. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სასწავლო დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას 5 სამუშაო დღეში მისი საჭიროების წარმოშობის მომენტიდან.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით;
11. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება.
12. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
13. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები.
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი VI პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა და სწავლის აღიარება

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისს N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად.
3. კოლეჯი აპლიკანტის მიერ დოკუმენტაციის წარდგენიდან საქართველოს განათლების დამეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირს ენიჭება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
5. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანის ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.
6. წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ).

დ) 2 ფოტო 3x4.

ვ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელიდოკუმენტი და სხვა).

6. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

ა) საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების

ფორმა;

ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

ბ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);

ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);

გ) ქცევითი და ემოციური აშლილობის შემთხვევაში, უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ე) მეურვის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია:

ე.ა) მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის)ასლი და დედანი;

ე.ბ) მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

9. აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ასევე აპლიკანტის მიერ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დოკუმენტების არ წარმოდგენა.

10. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

11. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთარეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სიადგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

12. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) რეგისტრაცია;

ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;

გ) აპლიკანტის მიერ პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვა;
დ) დაწესებულებაში ჩარიცხვა.

14. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერიდა სუსტი მხარეების განსაზღვრას.
15. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსსმ მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ ასაკით უმცროს აპლიკანტებს.
17. ამ მუხლის მე-16 პუქნტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსს მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტს, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახიდან.
18. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
19. არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე ასევე უნდა მოიცავდეს არასწრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლს, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლს, მეურვის შემთხვევაში კი მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.
20. დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების (საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნების დაცვით (evet.emis.ge);
21. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ შეტანილი ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მონაცემებში ცვლილებების შეტანა კოლეჯის დირექტორის ბრძანების გარეშე.

მუხლი 9. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. კოლეჯი დაინტერესებულ პირს, მომართვის შემთხვევაში, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, აცნობს:

ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
ბ)პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შერჩევის თავისებურებებს;
გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში.
დ) საგანმანათლებლო სერვისებს, მათ შორის, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) და სხვა.

2. კოლეჯი დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას ახორციელებს მომართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 10. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
ე) შედეგების გამოცხადება, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება;
ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 11. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ.

მუხლი 12. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.

2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად, შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამატებით განსაზღვრული იყოს გასაუბრება/პრაქტიკული მოსინჯვა. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია შეფასება დაწესებულების მიერ,თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 30%.

მუხლი 14. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. თუ პროგრამაზე მიღებისთვის დადგენილია აპლიკანტთა დამატებიტი შეფასება, შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული-სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
2. აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.
4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 15. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი თუ შერჩევის ფორმად კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია, რომელიც მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

მუხლი 16. შესარჩევი კომისიის შექმნა

1. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდაგენლელი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
3. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება დანართების შესაბამისად.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
5. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის

შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი- რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
6. საგანამანათლებლო პროგრამებზე კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომისოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.
7. კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად.
8. განცხადება თვითაცილების თაობაზე კომისიის წევრმა უნდა გააკეთოს იმ მომენტში, როცა მისთვის ცნობილი გახდა თვითაცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. კომისიის წევრის მიერთვითაცილების თაობაზე განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კომისიის წევრი ჩანაცვლდება დირექტორის ბრძანებით მხოლოდ კონკრეტულ აპლიკანტთან დაკავშირებით.

მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრება

მოტივაციური გასაუბრება ტარდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესის და პირობების შესაბამისად.

მუხლი 18. შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. აუცილებელის სააპელაციო კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
7. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.
8. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაშიეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
10. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიისთავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 19. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში,უმარლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებუცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.

2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

მუხლი 20. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.

3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის

სტატუსი.
4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მონისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის მობილობა

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის/მსმენლის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ კოლეჯის პროფესიული სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი უხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
5. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
6. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს მიმღებ კოლეჯს.
7. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისა და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი.
8. სასწავლო დეპარტამენტის მიერ ხორციელდება წარმოდგენილი დოკუემნტაციის შესწავლა მზადდება დასკვნა მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას წინამდებარე წესის მიხედვით).
9. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
10. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის შემთხვევაში წინამდებარე მუხლის 7-8 პუნქტითგათვალისწინებული დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო

დაწესებულებათა რეესტრში.

11. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულსტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ)მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვისდადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის ტუდენტს, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის სტუდენტს.

13. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტისინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

14. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი წერილობით ატყობინებს აღნიშნულს პროფესიულ სტუდენტს და განუმარტავს წინამდებარე წესით გათვალისწინებულ უფლებას.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას.

2.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დროებით შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);

ბ) ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომელიც გამორიცხავს საგანამანათლებლო პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას და დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით (არანაკლებ 2 სასწავლო კვირისა),

გ) სასწავლო პროცესზე გამოუცხადებლობა, მოდულის მიმდინარეობის 50%-ი და მეტი ოდენობით, დაწესებულებისათვის მიზეზის შეუტყობინებლობით,

ე) სტუდენტის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში, ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც ეთიკურად არ ეწინააღმდეგება ექთნის პროფესიულ ეთიკას და

თავისუფლების აღკვეთის ზომა არ აღემატება 5 წელს.
4. პროფესიულ სტუდენტის სტატუსი უჩერდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
5. პროფესიული სტუდენტი რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესის მოთხოვნები.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 5 წელი.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
10. პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;
ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგი;
დ) სტუდენტის სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წელზე მეტი ვადით.
ე) გარდაცვალება.
3. კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტისათვის (კანონიერი წარმომადგენლისთვის/მხარდამჭერისთვის განცხადება) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პროფესიული სტუდენტის სტატუსის

აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების პრინციპები და პროცედურები

1. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ათვისებული კრედიტებისა და სწავლების შედეგების შესაბამისობის დადგენას კოლეჯის პროგრამასთან, რომელზედაც პირი აგრძელებს თუ ანახლებს სწავლას.
2. კოლეჯის ადმინისტრაცია ნასწავლის აღიარების მიზნით ადგენს მის საგანმანათლებლო პროგრამებთან, მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
3. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც სტუდენტის სტატუსის მოპოვება და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
5. მობილობისას მიღებული განათლების აღიარება/დადასტურებისთვის სასწავლო დეპარტამენტის მიერ მზადდება დასკვნა, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის პროგრამასთან და ასევე აღიარებული/დადასტურებული კრედიტების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში მტკიცდება დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მუხლი 25. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო კოლეჯებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.
2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.
3. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს წინამდებარემუხლის 1-ლი პუნქტით და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მექანიზმებზე, კოლეჯი განახორციელებს შესაბამისი სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ.

თავი VII პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დისციპლინარული კომისია, დისციპლინური პასუხისმგებლობის პრინციპები

მუხლი 26. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება და სამართლიანი შეფასება,
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი,
- დაცული იყოს რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნით დისკრიმინაციისაგან,
- ისარგებლოს კოლეჯის ქონებით (აუდიტორიით, კომპიუტერით, ბიბლიოთეკით, სააქტო დარბაზით და ა.შ.),
- მიიღოს სასწავლო პროცესთან, შეფასებასთან, ნებისმიერ მისთვის საინტერესო, სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული, ინფორმაცია;
- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველმყოფი სტრუქტურების მიერ მომზადებული კითხვარების მეშვეობით შეაფასოს მასწავლებლის მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარის ხარისხი და სასწავლო პროგრამა, მოდული;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
- აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, კულტურულ და სხვა ღონისძიებებში;
- გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასების შედეგი, ამავე წესით დადგენილი პროცედურებისა და ვადების დაცვით;
- უზრუნველყოფილი იქნას მისი მონაწილეობა პრეტენზიის განხილვისას;
- მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

- დაესწროს მის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას, წარადგინოს მის სასარგებლო მტკიცებულებები და დაიცვას საკუთარი უფლებით,

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული, კოლეჯის მიერ გამოცემული და შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციული მოთხოვნები/აქტები,
- შეასრულოს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მის მიმართ კოლეჯის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები,
- პატივი სცეს კოლეჯში დასაქმებულ პირთა და სხვა პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს,
- დაიცვას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები.

3. სტუდენტის ქცევასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- არ გადაწეროს სხვა სტუდენტისგან საშინაო თუ მეცადინობაზე შესასრულებელი დავალებები.
- დაიცვას საავტორო უფლებები და არ დაუშვას პლაგიატი;
- არ ჩაიდინოს ფალსიფიკაცია – ანუ სასწავლო დავალების შესრულებისას ინფორმაციის გაყალბება, ყალბი წყაროებისა და მონაცემების გამოყენება, დოკუმენტაციის გაყალბება;
- საუბრის დროს არ გამოიყენოს საზოგადოებისათვის მიუღებელი სიტყვები და წინადადებები;
- არ მიაყენოს სხვას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს კოლეჯის ქონებას;
- გამოიყენოს კომპიუტერები მხოლოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად;
- არ დაიგვიანოს საგანამანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ან არ მიიღოს მათი უნებართვოდ დატოვების გადაწყვეტილება;
- არ გამოცხადდეს კოლეჯში არაფხიზელ მდგომარეობაში;
- არ გამოცხადდეს კოლეჯში სტუდენტისთვის შეუფერებელი ტანისასამოსით (მაგ: შორტები, მაისური მოშიშვლებული ზურგითა, ღრმა დეკოლტეთი და მოშიშვლებული წელით; გამჭვირვალე მაისური და ა.შ);
- კოლეჯის შენობაში და მის ტერიატორიაზე არ მოიხმაროს თამბაქოს ან/და ელექტრო სიგარეტი;
- მეცადინეობის მიმდინარეობისას დაუშვებელია დერეფანში ხმაური;
- გაითვალისწინოს კოლეჯის პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის შენიშვნები;
- შეასრულოს ადმინისტრაციის მითითებები გარეგნულ იერთან დაკავშირებით;
- არ დაუშვას კონფლიქტური ვითარების პროვოცირება;
- არ ითამაშოს კოლეჯის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;
- არ დაუშვას სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების, ნივთიერებების შეძენა, შემოტანა, შენახვა ან გამოყენება ტერიტორიაზე;
- არ ატაროს ცივი იარაღი (დანა, და მსგავსი ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, რითაც შესაძლებელია სხეულის დაზიანება) ტერიტორიაზე;
- მეცადინეობების მსვლელობის დროს სტუდენტს არ შეუძლია ისარგებლოს მობილური ტელეფონით, ისაუბროს სხვა სტუდენტებთან, მოუსმინოს მუსიკას ან განახორციელოს ისეთი ქმდება რაც ხელს უშლის მეცადინეობის პროცესს.

4. პროფესიული სტუდენტის ეთიკური და ზნეობრივი ნორმები

- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პატივისცეს ადამიანის საყოველთაო და აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას;
- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია იზრუნოს ორგანიზაციის რეპუტაციის დაცვაზე, რაც გულისხმობს დაწესებულების წარმომადგენელების მიმართ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ისეთი ინფორმაციის გავრცელების დაუშვებლობას რაც დაკავშირებულია კოლეჯის საქმიანობასთან და მიზანმიმართულია მისი რეპუტაციის შელახვისაკენ, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების ადაუშვებლობას თუ ასეთი მისთვის ცნობილია;
- დაუშვებელია მის მიერ სხვა რაიმე ისეთი საქციელის ჩადენა, რომელიც ემსახურება დაწესებულების ან/და მასთან დაკავშირებული პირების დისკრედიტაციას.

მუხლი 27. დისციპლინარული კომისია

1. პროფესიული სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა გულისხმობს მისთვის ამ წესის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4-ე ნაწილებით დადგენილი წესების დაცვის მოთხოვნის დარღვევისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებას.
2. დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტისათვის დისციპლინური გადაცდომის დადგენისა და სახდელის შეფარდების მიზნით ადგენს დისციპლინარულს კომისიას. კომისიის 2 წევრს ასახელებს დირექტორი, 2 წევრს სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენელი და 3 წევრს სტუდენტი.
3. კომისიის წევრების დადგენის შესახებ დირექტორის ბრძანება გამოიცემა გადაცდომის ჩადენიდან 10 დღის ვადაში და მასში მიეთითება იმ გადაცდომის შესახებ, რომელზეც უნდა იმსჯელოს კომისიამ.
4. კომისიის წევრებს, არაუგვიანეს სხდომის თარიღამდე 3 დღით ადრე უნდა ეცნობოთ დაწესებულებისათვის საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაცია, მათ შორის სტუდენტის მიერ წარმოდგენილი თუ საკუთარი ინიციატივით შეკრებილი.
5. კომისიის წევრთა შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც სავარაუდოდ იყვნენ გადაცდომის მონაწილეები, ან ეჭვის მაღალი სტანდარტით მიჩნეულია, რომ დაკავშირებული ან სუბიქტურად განწყობილნი არიან დისციპლინური გადაცდომის მონაწილე პირების მიმართ.
6. სტუდენტის მიერ დასახელებული კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც სტუდენტები, ასევე ნებისმიერი სხვა ნეიტრალური პირი.
7. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია, თუ იგი შეიკრიბება სრული შემადგენლობით დირექტორის მიერ კომისიის შემადგენლობისა და სხდომის დანიშვნის დროსა და ადგილას.
8. კომისიის წევრების საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს სხდომას წინამდებარე წესის შესაბამისად. სხდომის თავმჯდომარის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა იდენტურია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურისა.

9. სხდომამდე ან/და სხდომის მსვლელობისას სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით. გამამართლებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებების დამადასტურებელი სხვა მტკიცეულებები, რომელსაც აფასებს კომისიის ყველა წევრი.
10. დაწესებულება ვალდებულია კომისიის სხდომამადე საკითხის ირგვლის მოიძიოს ყველა სახის ინფორმაცია/მტკიცებულება (სტუდენტის ინტერესების დაცვისა და პატივისცემის ვალდებულების გათვალისწინებით), გამოკითხოს ყველა პირი ვისაც შეიძლება ინფორმაცია ქონდეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, თანამშრომლებისაგან მოითხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტებები თუ მათთვის ცნობილია მომხდარის შესახებ, ხოლო მოპოვებული მასალა განხილვისა და შეფასებისათვის გადასცეს კომისიას. ამასთან თუ რომელიმე დასახელებულ კომისიის წევრს რაიმე შეხება ქონდა განსახილველ საკითხთან იგი ვერ იქნება კომისიის წევრი, ხოლო ასეთის შემთხვევაში უნდა დააყენოს თვით აცილების საკითხი, რაც გამოიწვევს სხდომის გადადებას, რის თაობაზეც დირექტორი გამოსცემს ახალ აქტს.
11. სხდომის თავმჯდომარე კომისიის წევრებს მოახსენებს საკითხის, კომისიისთვის ცნობილი ინფორმაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დისციპლინარული გადაცდომის ჩამდენ სტუდენტს. სტუდენტი უფლებამოსილია არ ისარგებლოს ამ უფლებით ან/და საერთოდ არ გამოცხადდეს სხდომაზე.
12. კომისიის წევრები ახსნა-განმარტების მოსმენის ან/და თუ სახეზეა მე-11 ნაწილით გათვალისწიენებული შემთხვევა, მის გარეშე, აფასებენ მტკიცებულებებს და იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და იგი მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში უნდა იქნას განხილული.
13. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემის პროცედურაში არ მონაწილეობს დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი სტუდენტი. ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან კომისიის წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ დახურული კენჭისყრის პროცედურის ჩატარება. თუ რომელიმე წევრი თავს იკავებს ხმის მიცემისაგან მან უნდა დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია, ხოლო ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.
14. კომისიის სხდომა ოქმდება, რომელსაც ხელს აწერს სხდომის ყველა მონაწილე, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული სახით კომიის სხდომიდან არაუგვიანეს 3 დღისა წარედგინება დირექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

მუხლი 28. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, დადება, მოხსნა, გაქარწყლება

1. დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური კომიის მიერ შესაძლოა დაკისრებული იქნას შემდეგი სახდელები:

ა)ზეპირი გაფრთხილება,

ბ) გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით,

გ) საყვედური,

დ) სასტიკი საყვედური,

ე) სტატუსის შეწყვეტა.

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ შესაძლებელია მხოლოდ ერთი დისციპლინარული სახდელის გამოყენება, მოუხედავად განსახილველი შემთხვევის მრავლობითობისა;
3. დისციპლინური გადაცდომის სიმძის შესაბამისად კომისია განსაზღვრავს სახდელის შეფარდებისა და მისი გაქარწყლების ვადას.
4. გაქარწყლებისათვის კომისიის მიერ დადგენილი ვადის გასვლა, ისე რომ ამ პერიოდში სტუდენტს არ დასდებია ახალი სახდელი, დირექტორს ერთპიროვნულად აძლევს უფლებას სახდელის გაქარწყლების შესახებ ბრძანების გამოცემის შესახებ.
5. სახდელის მოქმედების ვადაში კომისიის რომელიმე ან/და რამდენიმე წევრის, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ან/და პროფესიული პედაგოგის შუამდგომლობით იგივე შემადგენლობის (ან თუ ასეთი შეუძლებელია იმავე წესით შექმნილი) კომისია უფლებამოსილია მიიღოს სახდელის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება.
6. სახდელის დადების, მოხსნისა თუ გაქარწყლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, მეორე ინახება კოლეჯში, ხოლო ამონაწერი ბრძანებიდან თავსდება სტუდენტის პირად საქმეში.

თავი VII პროფესიულ სტუდენტთა წახალისება, შედეგების გაუმჯობესების მასტიმულირებელი ღონისძიებები

მუხლი 29. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების პრინციპები და ფორმები

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა წახალისების ფორმები, რაც ემსახურება მათი შრომის დაფასებას და წახალისებას.
2. წახალისების გამოყენების საფუძველია დამფუძნებლის გადაწყვეტილება, დირექტორის, სასწავლო დეპარტამენტის, პედაგოგის, სტუდენტთა ჯგუფის, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლის ან/და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პირის რეკომენდაცია ან/და მესამე პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სტუდენტის სასწავლო, საზოგადოებრივი, სოციალური, კულტურული თუ სხვა აქტივობების შესახებ.
3. საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ბრძანების სახით გამოსცემს დირექტორი. ბრძანების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ერთი ინახება კოლეჯში, ამონაწერი ბრძანებიდან თავსდება სტუდენტის პირად საქმეში.
4. სტუდენტის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი წახალისების ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება,

ბ) კოლეჯის რეკომენდაციით სხვდასხვა ორგანიზაცია/დაწესებულებების მიერ ინიცირებულ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში ჩართვა

გ) სიგელის/სერთიფიკატის გადაცემა,

დ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა,

ე) ერჯერადი ფულადი ჯილდო,

ვ) მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლება,

ზ)საქართველოს ფარგლებს გარეთ ერთ თვიანი „ობსერვაციული“ ვიზიტით მივლინება, კოლეჯის დაფინანსებით.

5. წახალისების რომელიმე ფორმის გამოყენებისთვის აუცილებელია სტუდენტის აქტივობის შეფასება - მისი თანატოლებისათვის, საზოგადოებისათვის, სფეროსათვის მოტანილი სიკეთის მნიშვნელობისა და ღირებულების ჭრილში.
6. წახალისების ფორმის გამოყენებისას დირექტორი ყველა შემთხვევას განიხილავს ინდივიდუალურად და არც ერთი შემთხვევა არ შეიძლება იყოს გავლენის მომხდენი ყოელ მომდევნოზე.

მუხლი 30. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ასევე დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. წესი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე და მისი შესრულების კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაცია.